

„ვამტკიცებ“

საქართველოს დიპლმატური კორპორაცია

ფედერაცია



„-----“ „-----“ 2017 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საკლუბო ჩემპიონატის ფინალური ეტაპი

ყვარელი

2017

14 ოქტომბერი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;
- ძიუდოს კლუბური სისტემის განვითარება საქართველოში;

II. შეჯიბრის ხელმძღვანელობა

- შეჯიბრის ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი – სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრის მონაწილეები

- ფინალურ ეტაპზე მონაწილეობას იღებს ის ოთხი კლუბი, რომელმაც 2017 წელს საკლუბო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე გავიდა პირველ 4 საუკეთესო პოზიციაზე: შევარდენი 2005, პატარა კახი, ლიდერი, ლომჭაბუკი.

IV. შეჯიბრის ჩატარების პირობები, ადგილი და დრო

- კენჭისყრა ჩატარდება 13 ოქტომბერს ქ. თბილისში, ძიუდოს აკადემიაში.
- შეჯიბრი ჩატარდება 2017 წლის 14 ოქტომბერს ქ. ყვარელში.
- ჩამოსვლის დღე ქ. ყვარელი 13 ოქტომბერი. წასვლა 15 ოქტომბერი.
- შეჯიბრების დასაწყისი – 13.00 საათი.

V. შეჯიბრის ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ გუნდურ პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 7 წონით კატეგორიაში: 60კგ; 66კგ; 73კგ; 81კგ; 90კგ; 100კგ; +100 კგ

აწონვა: ქ. თბილისი, ძიუდოს აკადემია

13 ოქტომბერი

60კგ; 66კგ; 73კგ; 81კგ; 90კგ; 100 კგ;+100 კგ

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 – 18.00 საათამდე;

აწონვა: ქ. ყვარელი

13 ოქტომბერი

60კგ; 66კგ; 73კგ; 81კგ; 90კგ; 100 კგ;+100 კგ

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 – 18.00 საათამდე;

VI. საპრიზო თანხა

- ფინალური ეტაპის საპრიზო თანხად განსაზღვრულია 160 000 (ას სამოცი ათასი) ლარი, რომელიც ნაწილდება კლუბებზე შემდეგნაირად:
 - I ადგილი – 70 000 ლარი
 - II ადგილი – 50 000 ლარი
 - III ადგილი – 30 000 ლარი
 - IV ადგილი – 10 000 ლარი

- საპრიზო თანხების განკარგვის მიზნით კლუბებს ევალებათ ამ ჩემპიონატიდან მიღებული შემოსავლების ხარჯვა შემდეგი პრინციპის მიხედვით:
 1. არაუმეტეს საერთო თანხის 20 % - კლუბის მწვრთნელის/ბის პრემირება.
 2. საერთო თანხის 70 % - შეჯიბრში მონაწილე სპორტსმენთა პრემირება.
 3. საერთო თანხის 10 % - საკუთარი შეხედულებით განკარგვა, გარდა მწვრთნელთა და ადმინისტრაციის პრემირებისა.

VII. შეჯიბრის ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, დამისთვეა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, დაცვის სამსახური, მედპერსონალის ხელფასი და სხე) უზრუნველყოფს ორგანიზატორი მხარე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:

ტელეფონი / ფაქსი: +995 2 51 64 66;

ელექტრონული მისამართი: judofedgeo@gmail.com

საკონტაქტო პირი – გიორგი ათაბეგაშვილი 595 21 25 23

საკონტაქტო პირი – ზურაბ უსუფაშვილი 577 99 44 07

P.S.

- შეჯიბრებაზე აუცილებელი პირობაა თითოეულ სპორტსმენს ჰქონდეს, როგორც ლურჯი, ასევე თეთრი ფერის კიმანო.
- ასევე აუცილებელი პირობაა თითოეული კლუბის მწვრთნელს ეცვას კლასიკური შარვალ-კოსტუმი.
- შეჯიბრებაზე სპორტსმენთათვის დასაშვებია 2კგ ზედმეტი წონა.

გენერალური მდივანი



გიორგი ათაბეგაშვილი